

თბილისის თანამედროვე არქიტექტურა

გიორგი მაისურაძე
2 კურსი; ჯგ. 6200

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცდებით მოკლედ შევეხოთ XXI საუკუნის დასაწყისის ქართულ არქიტექტურაში მიმდინარე პროცესებს რაღბან ვივლით, რომ ღრო საჭიროებს ახლის დაწინაურებას. ნაშრომში განხილული იქნება ის ნაბეჭობები, რომლებიც ჩვენი თვალსაზრისით ასახავენ ახალ ტენდენციებს და ქართული თანამედროვე არქიტექტურის სპეციფიკურ ნიშნებს.

უპირველესად განვიხილავ თანამედროვე შენობებს ისტორიულ გარემოში რომლებიც გვიჩვენებენ კლასიკური ტრადიციის ინტერპრეტაციის თავისებურ მიდგომებს.

კოსტავას ქუჩაზე, ვერის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმართული მრავალფუნქციური შენობა ე.წ. “გრატო პასაჟი”. არქიტექტორი ამ ნაგებობის სივრცულ-მოცულობით კომპოზიციაში იყენებს ა. როსის ენობრივ კოდს პირდაპირი მინიშნებით, უფრო სწორედ როსის არქიტექტურული ტიპის კონცეფციას: კლასიკური თემის გამარტივებული ინტერპრეტაცია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გამარტივებას მივყევართ მკაცრ და ამავე დროს მთლიანის სქემატურობამდე. სახეზეა მონოტონური მონუმენტალიზმი.

უკოლ ბერიძის ქუჩაზე (ყოფილი ცხაკაიას ქუჩა, არქ. ოთარ ნემსაძე, ირაკლი აბაშიძე) ახალი ეროვნული ბანკის ფილიალის ნაგებობა ქმნის თავის ეტიკეტს. იგი კორექტურად და შეუმჩნეველად კონტექსტშია როგორც მთლიანად მე-19 საუკუნის ეკლექტიკურ გარემოსთან ისე მის გვერდზე მდგარ ბრუტალურ, წითელი აგურით ნაშენ სამინისტროს შენობასთან. ყურადღება ეთმობა მასშტაბის, რიტმის შეგრძნებას, გარე სამყაროსთან ორგანული შერწყმის გრძნობას, ასეთი არქიტექტურა ქმნის სიმშვიდის, ჰარმონიის, ვიზუალური კომფორტის შეგრძნებას.

ბიზნეს ცენტრი ლერმონტოვის ქუჩაზე. (არქ. გაგა კიკნაძე, ლევან მუშკუდიანი). კრიტიკოსები არაერთგზის ამტკიცებდნენ, რომ “ინტეგრაცია ისტორიულ კონტექსტში შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ რბილი და პლასტიური ფორმებით, რომლებიც ზოგადად მიღებული უნდა იქნას, როგორც ადეკვატური და მოდერნიზებული.” ავტორის არქიტექტურულმა განაცხადმა უხეშად დაარღვია ეს ჰარმონია და მე-19 საუკუნის ეკლექტიკურ არქიტექტურულ გარემოში ახალ არქიტექტურულ მიდგომას ქმნის. გარემოსთან ინტეგრირებული, მონუმენტალობას მოკლებული, ასიმეტრიული მოცულობა ამდიდრებს სივრცის ხასიათს. აბსტრაქტული ფასადის ნახატი, ავტორისეული ინტერპრეტაციით, ასოცირდება სუპრემატიზმთან და დანიელ ლიბესკინდისთვის დამახასიათებელ ენობრივ კოდთან, როგორცაა დასერილი სიბრტყეები. საერთო კომპოზიცია გამაფრებელია ნაგებობის მიმართ დიაგონალურად განლაგებული მისასვლელი გზით. დღეს მსოფლიო არქიტექტურულ პრაქტიკაში მსგავსი მიდგომა კონტრასტი და არა კონტექსტი უკვე ნოვაცია არ არის. ჩვენს რეალობაში დროით და სივრცით შეზღუდულ ქალაქურ განაშენიანებაში მსგავსი ნაგებობის გაჩენა პროგრესული მოვლენაა.

მემკვიდრეობის და თანამედროვეობის ურთიერთკავშირის სხვა გზაა ფასეულ ისტორიულ შენობაში თანამედროვე სტრუქტურის ინტეგრაცია ანუ შენობის გათანამედროვეება. ისტორიულ ნაგებობებზე ხდება ახალი ფორმის, მოცულობის დაშენება ან მიმატება. როგორც წესი ეს დამატებები დესტრუქციული ხასიათისაა. მსოფლიო არქიტექტურულ პრაქტიკაში არაერთი

მაგალითი არსებობს, რომელიც ასეთი მიდგომის თავისებურებებს გვიჩვენებს: ნორმან ფოსტერი, დანიელ ლიბესკინდი, და სხვა. ამ კუთხით ჩვენს ინტერესს წარმოადგენს თი-ბი-სი ბანკის ფილიალი ე.წ. „მწვანე შენობა“. ამ ნაგებობის დაპროექტებისას მიღწეული იქნა ახალი და ძველი სივრცეების სრული ინტეგრაცია. 2005 წელს არქიტექტორების გ. კიკნაძის და ლ. მუშკუდიანის მიერ მოხდა მისი მთლიანი რეკონსტრუქცია. ძველი შენობის ეზოში აშენდა ახალი ნაგებობა, რომელიც მარჯანიშვილის ქუჩაზე გამვლელთათვის დაფარული და შეუმჩნეველია. ორი შენობა ერთმანეთს ატრიუმით უკავშირდება. დაუმუშავებული ბეტონით ნაშენ, ასიმეტრიულად გაბნეული ფანჯრების რითმით სუფთა კვადრატული მოცულობა ჩასმულია 1903 წელს არქ. ლ. ბილფელდის მიერ დაპროექტებულ ფსევდო-ნეორენესანსული შენობის სტრუქტურაში. ახალი მოცულობა არსებულ შენობას ესაზღვრება ისე, რომ მინიმალურ ცვლილებებსაც არ იწვევს. ერთად კი ახლის და ძველის ერთიან, ინტეგრირებულ კომპოზიციას ქმნის.

ძველისა და ახლის ურთიერთკავშირი ერთერთი აქტუალური პრობლემაა. ამ ურთიერთობის ერთერთი საინტერესო ნიმუშია ე.წ. „მწვანე შენობა“.

„მწვანე შენობა“ 1903 წელს არქიტექტორ ლეოპოლდ ბილფელდის პროექტის მიხედვით აშენდა. მისი მფლობელი კავკასიის რეგიონში შვედეთის ვიცე-კონსულის ქალიშვილი ეფროსინე მარტინოვსკაია იყო. ბოლშევიკური ოკუპაციის წლებში ეს საცხოვრებელი სახლი ადმინისტრაციულ შენობად იქცა. ისტორიულად ამ შენობას მწვანე ფერი ჰქონდა, რის გამოც მას „Green Building“ – ი უწოდეს. 2005 წელს კი ეს ნაგებობა „ჯიარდისი ჯგუფმა“ შეიძინა.

„მწვანე შენობა“ თავისი არქიტექტურით მოკლებულია თბილისური საცხოვრებელი სახლის ყოველგვარ ნიშანს და ეკლექტიზმის ხანისთვის დამახასიათებელი დეკორატიული სტილიზაციით ხასიათდება. იგი რენესანსულ-ბაროკალური პალაცოთა მსგავსია, თუმცა ორნამენტული მრავალგვარობისა იგი მსუბუქი და მოხდენილია, რასაც ხელს უწყობს მწვანე ფერი.

შენობის რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის, ასევე ახალი შენობის ან ბლოკის პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები: გაგა კიკნაძე და ლევან მუშკუდიანი. მათ ფასადსა და კიბის უჯრედს ინტერიერში პირვანდელი სახე დაუბრუნეს. ასევე აღადგინეს პორტიკი, რომელიც მთლიანად მოშლილი იყო.

ძველი შენობის ეზოში აშენდა ახალი ნაგებობა, თანამედროვე ბიზნესცენტრი, რომელიც კარგად ერწყმის აბსოლუტურად განსხვავებულ ძველ ნაგებობას. ორი შენობა ერთმანეთს ატრიუმით უკავშირდება, ახალი კორპუსის ექსტერიერი საინტერესო, კონტრასტულ სინთეზს ქმნის ძველთან. მასზე შეუღლესავი ბეტონი და ხეა გამოყენებული. დაუმუშავებელი ბეტონის ზედაპირი, რომელსაც მკაფიოდ ემჩნევა ხის ფიცრებისგან დატოვებული ჰორიზონტალური შრეები, კედლის ზედაპირს სისადავესა და ეფექტურობას სძენს. ბეტონის კედელზე ხის ჰორიზონტალური ფიცრებით შენიღბული ლიფტის შახტაა. თავისთავად ეს ორი მარტივი მასალა ფანჯრების არაორდინარულ წყობასთან ურთიერთშეხამებით გემოვნებიან და ეფექტურ შედეგს იძლევა. სართულიანობის გარედან აღქმა დაკარგულია ფასადზე ფანჯრების ქაოტური გაბნევით. ნაგებობაში გადასვლა სხადასხვა სართულიდან შეიძლება.

რესტავრაციის შემდეგ მწვანე შენობა, რომელიც აქამდე

შეუმჩნეველი იყო და მარჯანიშვილის ქუჩის სხვა დანარჩენი შენობებიდან არაფრით გამოირჩეოდა, დღეს ნამდვილი არქიტექტურული დომინანტია ბანკისა და თეატრის შენობასთან ერთად.

ქართულ უახლეს არქიტექტურაზე გავლენას ახდენენ უცხოელი არქიტექტორები, ავლნიშნავ მხოლოდ ერთს: ამბიციური, მსხვილი სტრუქტურის მონუმენტური საზოგადოებრივი შენობა ქალაქის ისტორიულ ცენტრში: იუსტიციის სასახლე (არქ. მაქსიმილიანო ფუქსასი) ერთი შეხედვით ამ შენობამ დაარღვია ამ ადგილის მასშტაბი, შეცვალა ჩვეული სილუეტი და ახალი არქიტექტურული აქცენტი შექმნა.

ახალი შესასვლელი (არქ. ტატო მირგატია) საქართველოს ბანკის (ყოფილი გზების სამინისტრო, არქ. გიორგი ჩახავა) შენობის გვერდზე. მინის კუბი, რომელიც არის ნიუ-იორკის ეფელის ანალოგი. მინის, ლაკონური, გეომეტრიული არქიტექტურა

კახეთის გზატკეცილზე მდებარე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სათაო ოფისი (1212 წ. არქ. ირაკლი შარაშიძე) უბრალო, ელეგანტური, მატერიალობას მოკლებული, ჰაეროვანი ნაგებობა წარმოადგენს გამჭვირვალე ჩარჩოების სისტემას. “სივრცე”, “სიცარიელე”, “ჩარჩო”, “წრე” ამ ნაგებობის არქიტექტურული ფორმადწარმოქმნის საფუძველია. ვიზუალურად მსუბუქ სტრუქტურაში, შთამბეჭდავად გამოიყურება ნახევრად წრიული დინამიურად განვითარებული შესასვლელი-გალერეა, ეს ე.წ. შუალედური სივრცე, რომელიც ასოცირდება ქართული ხალხურ საცხოვრებელ სახლის ღია გალერეასთან. პირობითად “წრიულ” შესასვლელში ჩადებულია “მოძრავი სურათის” იდეა. თვითოეულ ჩარჩოში ამოჭრილი წრე სხვადასხვა პლასტიკისაა რაც ვიზუალურად ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მნახველზე სხვადასხვა რაკუსებიდან.

საქართველოს ბანკის საცავი კახეთის გზატკეცილზე (1212 წ. არქ. თ. კვანტალიანი) ლაკონური, მინიმალისტური, უბრალო, მარტივი ფორმის ბეტონის გეომეტრიულ ნაგებობას წარმოადგენს. ნაგებობის ვიზუალური კონტაქტი გარემოსთან განხორციელებულია შენობის

ცალი კუთხის აწევით მიწის დონიდან, რომელიც მთავარ შესასვლელს წარმოადგენს. მსტერულად გააზრებული შესასვლელიდან ვხვდებით შიგა ეზოში – ატრიუმში. ნაგებობის კომპოზიცია მოგვაგონებს ატრიუმთან სახლს. შენობა აგებულია დაუშუშავებელი ბეტონის ფილებიდან, რომელიც “დახვრეტილია” მრგვალი ელემენტებით. ასეთმა გადაწყვეტამ ხელი შეუწყო შექმნილიყო ეფექტურ ღამის განათება.

თბილისის პროკურატურის შენობის არც ისე დიდი ხუთ სართულიანი მოცულობა (1212 წ. სტუდია Architects of Inventions. არქ. ნიკა ჯაფარიძე, გოგიკო საყვარელიძე, ივანე ქსენელაშვილი, დათო ცანავა, ეკა კანკავა, ვილიანა გულიაშვილი, ნიკა მაისურაძე, ელისო სულაკაური, დავით დოლიძე, სოსო ელიავა, ეკა რეხვიაშვილი, დევი ქიტუაშვილი PM.) მდებარეობს თბილისის გარეუბანში, დავით აღმაშენებლის ხეივანზე, თბილისის შემოსასვლელ გზატკეცილზე. ბეტონის შავი ფერის ჩარჩო, რომელიც კონსტრუქციულ კარკასს წარმოადგენს შეკიდულია ხუთი გამჭვირვალე კუბი. მინის კუბები შენობის მთავარ ფასადზე ვიზუალურად საინტერესო და დინამიურ კომპოზიციას ქმნიან. (ავტორების განმარტებით “შავი კარკასი” წარმოადგენს კანონს, ხოლო მასში კონცენტრირებული მინის მოცულობები – საზოგადოების სარკეს და კანონის არსს, დისტილაციას.) ეჭვს იწვევს შენობის მასშტაბი და ფსიქო ემოციური კოდი. შავი ფერი შენობას მდუმარედ აქცევს, თუმცა ეს არის პროფესიული პოზიცია. თავად თემა “თამაში” კუბიკებით ერთის მხრივ ასახავს თანამედროვე არქიტექტურის ტენდენციებს თუმცა მეორეს მხრივ ასოცირდება ტრადიციულ ძველ თბილისურ ბანიან განაშენიანებასთან. შენობის უკანა ფასადი რადიკალურად განსხვავდება მთავარი ფასადისგან. მშვიდი და მარტივია. ერთიან სიბრტყეზე სხვადასხვა ზომის ფანჯრის ღიობები მკაცრ და ამვე დროს საინტერესო ნახატს ქმნიან. ინტერესს იწვევს შენობის ინტერიერი, რომლის შუაში მოთავსებული უწყვეტი კიბე – “გზა” თავიდან ბოლომდე გამჭოლად კვეთს შიდა სივრცეს და ერთმანეთთან აკავშირებს სართულებს. კიბის უჯრედის ორივე მხარეს განთავსებული საოფისე ბლოკები ხიდებით უკავშირდებიან ერთმანეთს. თავად კიბე მოქცეულია მინის კედლებს შორის. შენობის სახურავზე მოწყობილია ღია მწვანე სკვერი.

აზერბაიჯანული ფირმის “სოკარის” სათაო ოფისის (1212 წ. არქ. ქობულიები და პარტნიორები) ნაგებობა მდებარეობს ორთაჭალაში მდინარის პირას. იგი კარგადაა ჩაწერილი ლანდშაფტში და ვიზუალურად გაბედულია. ნაგებობის არქიტექტურულ მეტყველებაში სჭარბობს მხატვრული (თავისუფალი გეგმარება და თანამედროვე კონსტრუქციები) და სკულპტურული ციტატები. ყურადღებას იქცევს შენობის კუთხის კომპისებური მოცულობა, რომელიც ასოცირდება აზერბაიჯანის კულტურულ მეხსიერებასთან ე.წ. “ქალწულის” კომპთან.

ამრიგად, კვლევის შედეგად ჩვენ შევძელით შეგვექმნა გარკვეული წარმოდგენა საუკუნის დასაწყისის ქართულ არქიტექტურაზე. როგორც ანალიზმა გვიჩვენა ძირითადი ხაზი ჩამოყალიბდა მსოფლიო არქიტექტურაში არსებული უახლესი ტენდენციების გავლენით. იკვეთება სამი სტილისტური ხაზი ინტერნაციონალური არქიტექტურა, ასევე ჩანს ასოციაციურ დონეზე გამოვლენილი რეგიონალიზმის, „ახალი ისტორიზმის“ და კონტექსტუალიზმის იდეებიც. თუმცა ასეთი სქემა პირობითია და ვერ ასახავს თანამედროვე არქიტექტურის პროცესის განვითარების მთელ სპექტრს. რადგან დღევანდელი არქიტექტურის ფენომენი ახალი მეტაფორის ძიებაა, რომელსაც შეუძლია გაგვაკვიროს და გაგვაოცოს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს მიერ განხილული ნაგებობები უდაოდ საინტერესოა. მსოფლიო არქიტექტურასთან ინტეგრირების სურვილით ქართველი არქიტექტორები ქმნიან საავტორო არქიტექტურას, სადაც ჩანს მაღალი პროფესიონალიზმი.